სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030605097199119

05 / მარტი / 2019 წ. **თბილისი #06-58/ო**

მულტისექტორული სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი), აივ/შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიღწეული პროგრესის გლობალური ანგარიშის მომზადების და გაეროს შიდსის პროგრამის (UNAIDS) სამდივნოსათვის წარდგენის მიზნით შეიქმნას მულტისექტორული სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) მაია წერეთელი - გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, სგგდ და ჰეპატიტების სამმართველოს უფროსი, ჯგუფის უფროსი;
ბ) ცირა მერაბიშვილი - გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, სგგდ და ჰეპატიტების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, წევრი;
გ) ქეთევან გალდავაძე - გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, სგგდ და ჰეპატიტების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, წევრი;
დ) ირმა ბურჯანაძე - გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, წევრი;
ე) ქეთევან სტვილია - გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების აივ/შიდსის პროგრამის მენეჯერი, წევრი;
ვ) ეკატერინე რუაძე - გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების აივ/შიდსის პროგრამის მონიტორინგის და შეფასების ოფიცერი, წევრი;
ზ) ალექსანდრე ასათიანი - გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების აივ/შიდსის აივ/შიდსის პროგრამის მონიტორინგის და შეფასების ოფიცერი, წევრი;
თ) ლევან კანდელაკი - სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის რეგისტრების სამმართველოს უფროსი, წევრი;
ი) ეთერ ყიფიანი - სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამების მართვის სამმართველოს უფროსი, წევრი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:
ა) ქეთევან გოგინაშვილს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსს;
ბ) ნიკოლოზ ჩხარტიშვილს - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორის მოადგილეს;
გ) ნია ბადრიძეს - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ეპიდემიოლოგიური განყოფილების უფროსს;
დ) ოთარ ჩოკოშვილს - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ეპიდემიოლოგს;
ე) ნინო წერეთელს - საინფორმაციო სამედიცინო - ფსიქოლოგიური დახმარების ფონდი ''თანადგომას'' დირექტორს;
ვ) მარინე გოგიას - ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროგრამის დირექტორს.
3. ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით შექმნილმა მულტისექტორულმა სამუშაო ჯგუფმა აივ/შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიღწეული პროგრესის გლობალური ანგარიში მოამზადოს და გაეროს შიდსის პროგრამის (UNAIDS) სამდივნოს წარუდგინოს 2019 წლის 1 აპრილამდე.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე